



საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia

# მსხრტილის თვის პროგნოზი

---

2025

ინფლაცია .....	3
საბანკო სექტორი .....	5
საბარეო სექტორი .....	7
სავალუტო ბაზარი.....	11
ფულადი ბაზარი.....	14
მონეტარული აგრიგატები.....	15


“თვის მიმოხილვა“  
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის  
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

# ინფლაცია


ინფლაცია სამიზნე 3 პროცენტიან მაჩვენებელზე ქვემოთ ნარჩუნდება. თებერვალში წლიურმა ინფლაციამ 2.4% შეადგინა, ხოლო იანვართან შედარებით ფასები 0.4%-ით გაიზარდა. ინფლაციის დაბალ დონეს, ერთი მხრივ, იმპორტირებული პროდუქტების მცირე ინფლაცია განაპირობებს. ამავდროულად, ადგილობრივად წარმოებული საქონლისა და მომსახურების ინფლაცია კვლავ მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოსაა, რაც თავის მხრივ გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინების სტაბილურობაზე მიუთითებს.

საბაზო ინფლაციამ, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მალაღი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომაცარებლების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს, 2.0% შეადგინა.

## თვის ინფლაცია 0.4% (გნიშვნელოვანი წვლილია)



## წლიური ინფლაცია 2.4% (გნიშვნელოვანი წვლილია)




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

თებერვალში გასულ თვესთან შედარებით სამომხმარებლო კალათაში ყველაზე მნიშვნელოვანი საავადმყოფოს მომსახურების და კარტოფილის გაძვირება იყო. თითოეული ამ პროდუქტის/მომსახურების გაველნამ თვის ინფლაციაზე 0.1 პპ შეადგინა. თვის ინფლაციის შემცირებაზე დაახლოებით ამდენითვე იმოქმედა შოკოლადის ფილის გაიაფებამ.


წლიურ ჭრილში ინფლაციის მატებაზე ყველაზე მეტად სურსათის 3.3%-იანი გაძვირება მოქმედებდა, რაც ინფლაციას 1.1 პპ-ით ზრდიდა. სურსათიდან გამოსარჩევი მწვანილის და ზეთის გაძვირება იყო (ჯამური გაველნა ინფლაციაზე 0.5 პპ). საპირისპიროდ, ინფლაციის შემცირებაზე ინტერნეტის (-0.4 პპ) და ანტიბიოტიკების (-0.2 პპ) გაიაფება მოქმედებდა.

## მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი


## ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ადგილობრივმა ინფლაციამ თებერვალში 3.0% შეადგინა. მომსახურების ინფლაცია, რომელიც ადგილობრივი ინფლაციის ძირითადი შემადგენელი ნაწილია, 2.5%-ს გაუტოლდა. იმპორტირებული პროდუქტების ინფლაციამ წლიურად 0.5% შეადგინა. შერეული პროდუქტების ინფლაცია 3.1%-ია, რის მთავარი მიზეზიც შერეულად წარმოებული სურსათის (მწვანილი, ზეთი) გაძვირებაა.

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი


ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2025 წლის წონები	თებ25/იან25		თებ25/თებ24	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.4%	0.4%	2.4%	2.4%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	34.5%	0.7%	0.2%	3.7%	1.3%
სურსათი	31.7%	0.5%	0.2%	3.3%	1.1%
პური და პურპროდუქტები	6.9%	-0.1%	0.0%	0.8%	0.1%
ხორცი და ხორცპროდუქტები	7.0%	0.7%	0.0%	0.9%	0.1%
თევზეული	0.5%	-0.3%	0.0%	1.2%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	6.1%	-0.4%	0.0%	2.6%	0.2%
ზეთი და ცხიმი	2.9%	0.6%	0.0%	15.4%	0.4%
ხილი, ყურძენი	1.7%	4.8%	0.1%	0.1%	0.0%
ბოსტნეული, ბალჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.0%	3.3%	0.1%	9.7%	0.3%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.9%	-2.5%	-0.1%	1.2%	0.0%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	-1.4%	0.0%	2.5%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.8%	3.2%	0.1%	7.4%	0.2%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.4%	0.5%	0.0%	4.7%	0.3%
დანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.7%	-2.8%	-0.1%	0.0%	0.0%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.8%	0.0%	0.0%	1.0%	0.1%
ავტო, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.3%	0.5%	0.0%	-2.1%	-0.1%
ჯანმრთელობის დაცვა	8.1%	2.3%	0.2%	5.4%	0.4%
ტრანსპორტი	10.9%	0.3%	0.0%	0.4%	0.0%
კავშირგაბმულობა	3.2%	0.1%	0.0%	-12.2%	-0.5%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.8%	-0.6%	0.0%	0.3%	0.0%
განათლება	5.4%	0.0%	0.0%	5.2%	0.3%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.1%	1.1%	0.0%	6.8%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	4.7%	0.6%	0.0%	7.5%	0.3%
მოკლევადიანი მოხმარების საქონელი	60.8%	0.6%	0.4%	3.1%	1.9%
საშუალოვადიანი მოხმარების საქონელი	8.1%	-2.0%	-0.2%	-1.6%	-0.1%
ხანგრძლივადიანი მოხმარების საქონელი	5.2%	0.5%	0.0%	-0.2%	0.0%
მომსახურება	25.9%	0.6%	0.2%	2.5%	0.7%

წყარო: საქსტატი

# საბანკო სექტორი


იანვარში, საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 7.5 მლრდ ლარით გაიზარდა (თვიურად 0.1 მლრდ ლარით) და 58.1 მლრდ ლარი შეადგინა. სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 14.9%-ით გაიზარდა. წინა თვესთან შედარებით ეროვნული ვალუდის სადეპოზიტო ვალდებულებები 0.4 მლრდ ლარით (0.4%-ით) შემცირდა და 27.2 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული კლება, იურიდიული პირების დეპოზიტების შემცირებამ განაპირობა. რაც შეეხება უცხოური ვალუდის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით 0.6 მლრდ ლარით გაიზარდა. სამთავრობო სექტორის დეპოზიტები 564.8 მლნ ლარით გაიზარდა.

## სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


## სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


იანვარში დეპოზიტების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე) წინა თვესთან შედარებით ფაქტობრივად არ შეცვლილა და 5.8% შეადგინა. ეროვნული ვალუდით დენომინირებულ დეპოზიტებზე საშუალო შენონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით გაიზარდა და 7.8%-ია, ხოლო უცხოური ვალუდით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით შემცირდა და 2.0% შეადგინა. რეზიდენტების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით გაიზარდა და 11.6% შეადგინა. რაც შეეხება აშშ დოლარისა და ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთებს, 0.1 და 0.4 პპ-ით შემცირდა, შესაბამისად 2.9% და 1.4% შეადგინა.

## დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაკაალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


## რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუდების მიხედვით (ნაკაალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დეპოზიტების დოლარიზაციამ იანვარში 53.4% შეადგინა. იანვრის ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.3 პპ-ით, 67.1%-მდე, ხოლო იურიდიული პირების 1.0 პპ-ით, 43.8%-მდე გაიზარდა. ხოლო, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, იანვარში, წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით, 64.7%-მდე შემცირდა.

**დამოზიდვის დოლარიზაცია  
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**ფიზიკური პირების ვალდანი დამოზიდვის დოლარიზაცია  
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


იანვარში გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხები წლიურად 17.9%-ით გაიზარდა. წინა თვესთან შედარებით, სესხების ზრდის ტემპი 0.9 პპ-ით გაიზარდა, რაც თანაბრად ეროვნული და უცხოური ვალუდის დაკრედიტების ზრდის ტემპის მატებამ განაპირობა. კერძოდ, იანვარში ეროვნული ვალუდით დაკრედიტება წლიურად 22.9%-ით გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 12.7 პპ წვლილი შეიტანა. ხოლო უცხოური ვალუდით დაკრედიტება 11.7%-ით გაიზარდა და მთლიან დაკრედიტებაში 5.2 პპ წვლილი შეიტანა. იანვარში დაკრედიტების ზრდა ბიზნესს სესხებს უკავშირდება, ასევე გაიზარდა იპოთეკური სესხების ზრდის ტემპიც, რომლის წვლილმა მთლიანი სესხების ზრდაში 2.6 პპ შეადგინა.

**სასხაების წლიური ზრდის ტემპი  
(წვლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სასხაები მიზნობრიობის მიხედვით  
(წვლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვარში, სესხების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.8 პპ-ით გაიზარდა და 13.9% შეადგინა. ეროვნული ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.6 პპ-ით გაიზარდა და 15.9%-ს შეადგენს, ხოლო უცხოური ვალუდით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით, 8.9%-მდე, შემცირდა.

**საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე  
გაცემულ სასხაზე (ნაპალი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სასხაზე (ნაპალი)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვარში, იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით შემცირდა და 12.5%-ს შეადგინა. ხოლო იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.7 პპ-ით გაიზარდა და 13.4% შეადგინა. იანვარში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.5 პპ-ით, 9.2%-მდე, შემცირდა. უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.3 პპ-ით, 8.1%-მდე, გაიზარდა.


იანვარში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია 0.2 პპ-ით, 43.7%-მდე, შემცირდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით 0.3 პპ-ით, 63.9%-მდე გაიზარდა. ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაციამ, 0.7 პპ-ით, 25.2%-მდე, მოიკლო. იანვარში ვადაგადაცილებული სესხები წინა თვესთან შედარებით 166.4 მლნ ლარით გაიზარდა და 619.2 მლნ ლარს გაუცოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 47.3% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

**დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ვადაგადაცილებული ღვალიანება**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საბარეო სექტორი**


იანვარში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 57.2%-ით გაიზარდა და 1,200.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. **საგარეო ვაჭრობის დეფიციტის მატება იმპორტის ზრდას უკავშირდება.** აღნიშნულ თვეში, საქონლის იმპორტმა წლიურად 45.5%-ით 1,604.2 მლნ აშშ დოლარამდე მოიმატა, ხოლო ექსპორტი წლიურად 19.3%-ით გაიზარდა და 403.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

**საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა**



წყარო: საქსტატი


**სავაჭრო ბალანსი ძველებით მიხედვით (იანვარი 2025)**



წყარო: საქსტატი


**იმპორტი - იანვარში საქონლის იმპორტი წლიურად 45.5%-ით გაიზარდა. მატება უმეტესად სამომხმარებლო სახის საქონლის იმპორტის მალაღმა ზრდამ განაპირობა. ამ ტიპის საქონლის წვლილი ზრდაში 44.7 პპ იყო. ამასთან, შუალედური სახის საქონლის წვლილმა იმპორტის ზრდაში 1.5 პპ, ხოლო საინვესტიციო საქონლის წვლილმა უარყოფითი, -0.8 პპ შეადგინა.** იმპორტის მნიშვნელოვანი ზრდა ნახაცებს უკავშირდება, რაც სამომხმარებლო საქონელს განეკუთვნება. ნახაცების გამორიცხვით იმპორტის ზრდამ 1.9% შეადგინა. შუალედური ტიპის საქონელიდან გაიზარდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შესყიდვები. ხოლო საინვესტიციო საქონლის იმპორტის კლება მეცნილად საცვითო ავტომობილებისა და გამომთვლელი მანქანების იმპორტის შემცირებამ განაპირობა. მთლიანობაში, იანვარში წლიურად საქონლის იმპორტმა რეალურ გამოხატულებაში (რაოდენობრივად, საქონლის ფასის მერყეობის გამორიცხვით) 39.8%-ით მოიმატა.

**საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)**



წყარო: საქსტატი

**საქონლის რეალური იმპორტი (წლიური ცვლილება)**



წყარო: საქსტატი

იანვარში იმპორტის მატებაში ყველაზე მაღალი წვლილი შეიძინა აშშ-მ და გაერთიანებულმა სამეფომ, რაც სურათებისა და ქანდაკებების იმპორტის მატებას უკავშირდება. იანვარში გაიზარდა რუსეთიდან და ბულგარეთიდან ნავთობპროდუქტების შესყიდვები. აზერბაიჯანიდან გაიზარდა ნავთობის აირებისა და ელექტროენერჯის იმპორტი. ჩინეთიდან მაცივრების შესყიდვების ზრდამ მთლიანი იმპორტზე ზრდის მიმართულებით იმოქმედა. ხოლო ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან შემცირდა თურქეთიდან იმპორტი მეცნილად სამკურნალო საშუალებების შემცირების ხარჯზე. ასევე შემცირდა გერმანიიდან იმპორტი მეცნილად მსუბუქი ავტომობილების შესყიდვების შემცირების ხარჯზე. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 62% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.


იანვარში იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი სურათებისა და ნახალების კატეგორიას ეჭირა. წამყვანი წილი აქვს ასევე მსუბუქი ავტომობილებისა და ნავთობპროდუქტების იმპორტს. იანვარში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის იანვართან შედარებით ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

**საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (იანვარი 2025, მლნ აშშ დოლარი)**

სურათები, ნახალები, 481	მსუბუქი ავტომობილები, 151	ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 107	საინვესტიციო პროდუქტები, 20	საინვესტიციო პროდუქტები, 20
	ნავთობის აირები, 74	ქანდაკებები და სდადეუდები, 33	სამკურნალო საშუალებები, 48	საინვესტიციო პროდუქტები, 14
			საინვესტიციო პროდუქტები, 11	საინვესტიციო პროდუქტები, 10

წყარო: საქსტატი

**ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (იანვარი 2025)**




წყარო: საქსტატი

**ექსპორტი - იანვარში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 19.3%-ით გაიზარდა და 403.9 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა.** საქონლის ექსპორტის ზრდა მეცნილად სამომხმარებლო სახის საქონლის ექსპორტის მატებამ განაპირობა. თუმცა ამავდროულად მოიმატა შუალედური სახის და საინვესტიციო სახის საქონლის ექსპორტმაც. სამომხმარებლო სახის საქონლის ჯგუფიდან ყველაზე მეტი დადებითი წვლილი მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის ზრდამ შეიძინა. ადგილობრივი წარმოებული პროდუქტების ექსპორტიდან მაღალი წვლილი შეიძინა სპირტის, წყლებისა და სასუქების ექსპორტის ზრდამ. აღსანიშნავია, რომ 2025 წლის იანვარში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების გაყიდვები განხორციელდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდში პრაქტიკულად არ ყოფილა. შესაბამისად შუალედური საქონლის ექსპორტის ზრდა მეცნილად სპილენძის გაყიდვებმა განაპირობა. საინვესტიციო საქონლის ექსპორტის ზრდა მეცნილად საფრენი აპარატებისა და ბულდოზერების ზრდას უკავშირდება. რეალურად საქონლის ექსპორტი 2025 წლის იანვარში 6.4%-ით გაიზარდა.




**საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)**



წყარო: საქსტატი

**საქონლის რეალური ექსპორტი (წლიური ზრდა)**



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

რეგიონის ქვეყნებიდან საქსპორტო შემოსავლების მატებაში ყველაზე მაღალი წვლილი შეიძლება ყირგიზეთში, აზერბაიჯანსა და ყაზახეთში ექსპორტის მატებამ. ყირგიზეთსა და ყაზახეთში ექსპორტის ზრდა კვლავ მსუბუქი ავტომობილების გაყიდვებს უკავშირდება. რაც შეეხება აზერბაიჯანს, თამბაქოს, ქალაღის და სამკურნალო საშუალებების ექსპორტმა მოიმატა. ძირითადი საქსპორტო ქვეყნებიდან შემცირდა თურქეთიდან მიღებული საქსპორტო შემოსავლები, რაც მეტწილად ფეროშენადნობების გაყიდვების კლებას უკავშირდება. შემცირებულია რუსეთში განხორცილებული ექსპორტიც, რაც მეტწილად ღვინის გაყიდვების კლებას უკავშირდება. იანვარში მნიშვნელოვნად გაიზარდა ბულგარეთიდან მიღებული საქსპორტო შემოსავლები რაც სპილენძის მადნების ექსპორტის მატებამ განპირობა. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი ექსპორტის 69% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.


იანვარში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (32.2%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. ადგილობრივად წარმოებული საქონლის ექსპორტიდან კვლავ წამყვანი წილი უჭირავს სპირტის, წყლების, ღვინოსა და სასუქების კატეგორიას. ძირითადი საქსპორტო პროდუქტების გაყიდვების ზრდა იანვარში კვლავ გაგრძელდა. კერძოდ წყლების სპირტისა და სასუქების ექსპორტის ზრდამ ჯამურად ექსპორტის ზრდაში 4.2 პპ წვლილი შეიტანა. ძირითადი საქსპორტო პროდუქტებიდან შემცირდა ღვინის ექსპორტი. ექსპორტის ზრდაში ძირითადი საქსპორტო პროდუქტებიდან კვლავ შემცირებას განაგრძობს ფეროშენადნობების გაყიდვებიდან მიღებული საქსპორტო შემოსავლები. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

**საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (იანვარი 2025, მლნ აშშ დოლარი)**

მსუბუქი ავტომობილები, 130	სპირტიანი სასმელები, 14	სპილენძის მადნები, 14	
	მინერალური და მტკნარი წყლები, 13	ყურძნის ღვინოები, 13	მინერალური სასუქები, 13
	ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 12	ნახევრადდამუშავებული ოქრო, 10	სამკურნალო საშუალებები, 10

წყარო: საქსტატი

**ქვეყნების წილი საქონლის ექსპორტში (იანვარი 2025)**



წყარო: საქსტატი


**ფულადი გზავნილები** - იანვარში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 8.5%-ით დაიკლო და 242.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადმორიცხული თანხების მოცულობა 8.4%-ით 28.3 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

**წლიურად ფულადი გზავნილების კლება საბაზო ეფექტის ამოწურვას უკავშირდება.** იანვარში, რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები წლიურად 62.4%-ით, 25.5 მლნ აშშ დოლარამდე, შემცირდა. თუმცა მალალი ცემპებით ზრდას განაგრძობდა აშშ-დან, ესპანეთიდან და ისრაელიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები (შესაბამისად, 23.2%, 21.1% და 19.1%-ით).

კვლავ მნიშვნელოვანი წვლილი აქვს ევროკავშირის ქვეყნებიდან, იტალიიდან და გერმანიიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილების ზრდას, ხოლო ყაზახეთიდან გადმორიცხულმა თანხებმა 49.5%-ით დაიკლო.


**იანვარში, ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (45.1%), აშშ (19.5%) და რუსეთი (10.5%) წარმოადგენდა.** ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მალალი წილი.

**ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებაში (იანვარი 2025)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ფულადი გზავნილების ზრდა (წვლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

# სავალუტო ბაზარი


იანვარში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.8123-დან 2.8439-მდე (1.1%-ით) გაუფასურდა, ხოლო ევროს მიმართ - 2.9470-დან 2.9447-მდე (0.1%-ით) გამყარდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.8761 და 2.9929 შეადგინა. იანვარში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.8834 იყო, მინიმალური კი - 2.8138.

## ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაგრამა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვარში, საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა მინიმუმზე მეტად იყო გადახრილი.


**იანვარში, საშუალოდ, დოლართან მიმართებაში შესამჩნევია თურქული ლირის, ევროს და ლარის გაუფასურება; შედარებით მცირედით გაუფასურდა სომხური დრამი; აზერბაიჯანული მანათი პრაქტიკულად არ შეცვლილა, ხოლო რუსული რუბლი გამყარდა.**

## თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების ცვლილება დოლართან მიმართებით (იანვარი 2025; ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი წლიურად 7.1%-ით, თვის წრილში კი 1.6%-ით გაუფასურდა. რაც შეეხება ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსს, წლიურად გამყარება 0.7%, თვის წრილში კი გაუფასურება 0.6%-ია.

**ეფექტური კურსის გაუფასურება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე დადებითად აისახება.**

სავაჭრო პარტნიორთაგან იანვარში წლიური ინფლაცია თურქეთში, უკრაინაში, რუსეთში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, აშშ-სა და ევროზონაში საქართველოსთან შედარებით მაღალი იყო, ხოლო სომხეთში - დაბალი.


**ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან ნაწილში ინფლაციის კლების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა მთლიანობაში ფასების დონე ჯერ ისევ მაღალ დონეზე ნარჩუნდება.**

**ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იანვარი 2020=100)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები (იანვარი 2025)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სავალუტო ბაზრის ტენდენციები**


იანვარში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 14 ბანკი და 6<sup>1</sup> არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით, თვიურად ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი პრაქტიკულად არ შეცვლილა, კვლავ დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის მაღალ კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს.

**ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი სავაჭრო ბრუნვა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილებს მიხედვით**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვარში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა თვიურად შემცირებულია, ხოლო წლიურად გაზრდილი. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 85.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 114.9 მლნ აშშ დოლარით, წინა წლის იანვართან შედარებით კი - 9.2 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 43.6%-ით შემცირდა, წლიურად კი 10.9%-ით გაიზარდა.

იანვარში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები (უცხოური ვალუდით ლარის შეძენა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) თითქმის მთლიანად სპოტ<sup>2</sup> გარიგებებით ხდებოდა (93.4%) და მთლიანმა ვაჭრობამ 2,604.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 187.1 მლნ აშშ დოლარითაა გაზრდილი, ხოლო თვის წრიულში შემცირება 1,246.3 მლნ აშშ დოლარია. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი - იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, მცირე კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნულ ბანკს იანვრის თვეში სავალუტო ბაზარზე ინტერვენცია არ განუხორციელებია.


1 რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.  
2 სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუდირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

**საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე**



\*ანგარიშსწორების თარიღით

**საოტ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა**



\*პრაფიკა წარმოდგენილ სიდიდეში ასახავს უცხოური ვალუტით ლარის შეძენისა და პირიქით განხორციელებულ ტრანზაქციების ბრუნვას.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**იანვარში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება წლიურად გაზრდილია, ხოლო თვის წრილში - შემცირებული.**

საერთო ჯამში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, იანვარში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 92.4 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურ წრილში 640.9 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 1,346.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება წლიურად 94.7 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის წრილში 605.4 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 1,257.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შეძენაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა.

იანვარში სავალუტო ფორვარდ<sup>3</sup> გარიგებებით (უცხოური ვალუტით ლარის შეძენა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 185.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურ წრილში 12.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა) და 185.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი - იურიდიულ პირებსა და არარეზიდენტ ბანკებზე, ხოლო მცირე ნაწილი შინამეურნეობებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ 75.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


**ბანკთაშორისი საოტ გარიგებებით შიდა და გაყიდული უცხოური ვალუტა**



\*პრაფიკა წარმოდგენილ სიდიდეში ასახავს უცხოური ვალუტით ლარის შეძენისა და პირიქით განხორციელებულ ტრანზაქციების ბრუნვას.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა**





\*პრაფიკა წარმოდგენილ სიდიდეში ასახავს უცხოური ვალუტით ლარის შეძენისა და პირიქით განხორციელებულ ტრანზაქციების ბრუნვას.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვრის მდგომარეობით, წინა თვესთან შედარებით, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 18.5 მლნ აშშ დოლარით შემცირდა, რეზერვების მთლიანმა მოცულობამ კი 4,430.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ოქროს ფასის ზრდის გამო, იანვრის მონაცემებით წინა თვესთან შედარებით, რეზერვების მოცულობა 40.9 მილიონი აშშ დოლარით გაიზარდა. ასევე ზრდის მიმართულებით მოქმედებდა მთავრობის მიერ მიღებული სავალუტო ჩარიცხვები, რეზერვებზე საპროცენტო შემოსავლები და ბოლო დროს გაზრდილი დეპოზიტების დოლარიზაციის გამო უცხოური ვალუტით მოზიდულ სახსრებზე სავალდებულო რეზერვების გაზრდილი მოცულობა. შემცირების მიმართულებით კი მთავრობის სავალუტო ხარჯები (სესხის მომსახურება) მოქმედებდა.

3 სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების შევიწროებისთვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

**ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ფულადი ბაზარი

იანვარში სადებოზიტო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულების სამთვიანი სადებოზიტო სერტიფიკატი გაიყა. ამავ პერიოდში 20 მლნ ლარის სადებოზიტო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიტო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და 60 მლნ ლარი შეადგინა.


იანვარში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 270.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. იანვარში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, სამწლიანი, ხუთწლიანი, რვანწლიანი და თორმეცწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 50, 20, 40, 80, 50 და 30 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, **სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 330.3 მლნ ლარით გაიზარდა და 10,004.0 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 70.4%-ს კომერციული ბანკების, 16.1%-ს ეროვნული ბანკის, 12.7%-ს რეზიდენტების, ხოლო 0.8%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.**

**სადებოზიტო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპალი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა**





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვარში სადებოზიტო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთები ფაქტობრივად არ შეცვლილა. სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები მეტწილად გაიზარდა. კერძოდ, იანვარში, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიტო სერტიფიკატებზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 7.5%-ს შეადგენდა. რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთებს, ექვსთვიანი, ერთწლიანი და ხუთწლიანი სახაზინო ვალდებულების საპროცენტო განაკვეთი ფაქტობრივად არ შეცვლილა, შესაბამისად 7.6%, 7.6% და 8.6% შეადგინა. ხოლო სამწლიანი და ათწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები შესაბამისად 0.2-0.2 პპ-ით გაიზარდა და შესაბამისად, 8.6% და 8.8% შეადგინა.

**ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები**

**ლარის შამოსავლიანობის გრადი**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვარში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მოცულობა თვიურად 3,469.1 მლნ ლარით (წლიურად 2,231.8 მლნ ლარით) 15,566.1 მლნ ლარამდე შემცირდა, რაც მეცნილად უცხოური ვალუდის რესურსის შემცირებით არის განპირობებული. ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუდის ბრუნვაზე მოდის (77.4%), რომლის მოცულობაც თვიურად 3,657.7 მლნ ლარით (23.3%-ით) შემცირდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი თვიურად 188.5 მლნ ლარით (5.7%-ით) გაიზარდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი ფაქტობრივად არ შეცვლილა და 8.4% შეადგინა. უცხოური ვალუდის რესურსზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით 0.3 პპ-ით შემცირდა და 2.0% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ იანვარში ფულადი ბაზრის რესურსის 66.8% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 48.7% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

**ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**მონეტარული აბრეგაჟები**

იანვარში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 224.8 მლნ ლარით (3.1%) შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის 7.1 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით წინა თვესთან შედარებით, 21.8 მლნ ლარით (0.3%-ით) შემცირდა.


იანვარში, საბანკო სისტემაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 168.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო აუქციონებით და BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის ოპერაციები არ განუხორციელებია. მთლიანობაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, სავალუტო ინტერვენციებით და BMatch მექანიზმით, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 168.0 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. იანვარში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 644.5 მლნ ლარით გაიზარდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 802.7 მლნ ლარს გაუცოლდა.

**სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ფულადი აგრეგატი**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვარში ნაღდი ფულზე მოთხოვნა 332.9 მლნ ლარით შემცირდა. რეფინანსირების სესხები წინა თვესთან შედარებით 50.0 მლნ ლარით გაიზარდა. ერთდღიანი სესხის ნაშთი 349.5 მლნ ლარით შემცირდა. იანვარში, განთავსდა 20.0 მლნ ლარის სადეპოზიტო სერთიფიკატი და დაიფარა 20 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერთიფიკატი. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა არ ყოფილა. მთლიანობაში, იანვარში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 299.6 მლნ ლარით შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 6,635.6 მლნ ლარს გაუტოლდა.


იანვარში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვიურად 323.6 მლნ ლარით შემცირდა, მეტწილად ეროვნული ვალუტის დეპოზიტების შემცირების გავლენით. რაც შეეხება M2 აგრეგატს, მისი მოცულობა 870.1 მლნ ლარით გაიზარდა.

**საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**მონეტარული ოპერაციები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1  
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ტელეფონური ცენტრი: 240 64 06  
ელ ფოსტა: [info@nbg.ge](mailto:info@nbg.ge); [www.nbg.ge](http://www.nbg.ge)

